

მემცენარე 010155

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მემცენარის საქმიანობა მიეკუთვნება აგრარული მიმართულების სფეროს. მემცენარის პროფესია ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის ძირითადი ერთწლიანი კულტურების მოყვანაზე. ეს ყოველივე მოითხოვს შესაბამისი დარგების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების და სათანადო ტექნოლოგიების ცოდნას.

II. დასაქმების სფერო

მემცენარის დასაქმების სფეროებია სახელმწიფო და ფერმერული მეურნეობები, სხვადასხვა სახის აგროფირმები;

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მემცენარის პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანია (III). შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV მემცენარის კვალიფიკაციის აღმწერი

მემცენარის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>აქვს მემცენარეობის საფუძვლების ზოგადი ცოდნა. ასევე იცის მიწათმოქმედების და ბოტანიკის ზოგადი საფუძვლები. ძირითადი მინდვრის კულტურების- პურეულების ბოტანიკურ - მორფოლოგიური ნიშნების და ბიოლოგიური თავისებურების ცოდნა. იცის პრაქტიკულად როგორ ხდება მცენარის ზრდა-განვითარების მსვლელობაზე ფენოლოგიური დაკვირვება ფაზების მიხედვით.</p> <p>აქვს მოსავლის მიღების აგროტექნოლოგიების ზოგადი ცოდნა, იცის მცენარეთა გამრავლების ტექნოლოგია, სასუქთა გამოყენების სისტემა, მცენარეთა ბიოლოგიის ზოგადი ცოდნის გათვალისწინებით. კარგად ესმის მცენარე-გარემოს ურთიერთდამოკიდებულება. აქვს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ზოგადი ცოდნა. იცის სარეველებთან ბრძოლის წესები: აგროტექნიკური, ბიოლოგიური ქიმიური. ჰერბიციდები, შეტანის ნორმები და ვადები, გარემოს დაბინძურებასთან დაცვის საშუალებები. იცის მინდვრის კულტურების მთავარი დაავადებანი და მავნებელები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. იცის მოსავლის აღების წესები და ვადები. იცის თესლბრუნვის პრინციპები, თესვის წესები. ერკვევა მცენარეთა სისტემატიკაში. შეუძლია მეურნეობაში (ფერმაში) გავრცელებული ძირითადი კულტურების ჯიშების იდენტიფიცირება.</p>
----------------------------------	--	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მოდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია მოსავლის მოსაყვანად ფართობის შერჩევა თესლბრუნვის გათვალისწინებით კულტურების მიხედვით, მომზადება. ნიადაგის დამუშავება, ხვნის ვადები და სიღრმის განსაზღვრა. ნათესების გამარგვლა და გამოხშირვა, მორწყვის დროის და ხანგრძლიობის განსაზღვრა, აგრონომიული მითითებების ზუსტი შესრულება. სათესი მასალის კონტროლი-გასუფთავება შეუძლია სხვადასხვა კულტურის თესვა მისი წესების გამოყენებით. ნიადაგის მომზადება, როგორც საშემოდგომო ასევე საგაზაფხულო კულტურებისათვის. კულტურების მიხედვით კვების არის შერჩევა. ნათესის მოვლა. შეუძლია სარეველების იდენტიფიკაცია, მათთან ბრძოლა</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია შეაფასოს ნათესის მდგომარეობა ზრდის და განვითარების პერიოდში. შეაფასოს მცენარის მდგომარეობა გამოზამთრების შემდეგ შეუძლია ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ საშუალო სირთულის ამოცანის გადაწყვეტა. შეუძლია ჩატარებული სამუშაოების ეფექტურობის შესახებ დასკვნების გამოტანა, შედეგების გაანალიზება</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში</p>	<p>შეუძლია მიმდინარე პროცესებზე და შედეგებზე როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ინფორმაციის მომზადება და მიწოდება. დამჭირავებელთან და კოლეგებთან პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით კომუნიკაცია. შეუძლია საქმიანობათვის აუცილებელი აღრიცხვის წარმოება. საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს საინფორმაციო საკომუნიკაციო საშუალებებს. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებით მარტივი კომუნიკაცია უცხო ენაზე შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიწოდება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებით უცხო ენაზე ინფორმაციის მიღება და გავრცელება.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია ხელმძღვანელობის მითითებებზე და რჩევებზე დაყრდნობით გაიღრმავოს ცოდნა და შეიძინოს ახალი გამოცდილება. დაამუშავოს მითითებული ლიტერატურა და ასევე მოიპოვოს ზოგიერთი ახალი ინფორმაცია შეუძლია პრაქტიკის საფუძველზე განამტკიცოს ცოდნა. დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და გაიღრმავოს ცოდნა
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. არის დისციპლინირებული და პუნქტუალური. აცნობიერებს პროფესიითვის სპეციფიკური უსაფრთხოების წესების მნიშვნელობას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს